



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2021 წლის 1 ივნისი

დისციპლინური საქმე №41/21
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2021 წლის 08 აპრილის №41 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ არ შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 15 ოქტომბერს, --- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით მიმართა --- --, რომლითაც მოითხოვა ერთიან მიწაზე და ყველა შენობა-ნაგებობაზე რეგისტრირებული საკადასტრო კოდით --- ყადაღის დადება. ასევე მოითხოვა საადვოკატო ფორმის ხელმძღვანელის --- -- პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რადგან 2015 წლიდან დაზარალდა მათ მიერ; ასევე, მოითხოვა ადვოკატის დანიშვნა სახელმწიფოს ხარჯზე და კალიგრაფიული ექსპერტიზის დანიშვნა და სხვა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით განცხადებაზე --- -- დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა 3 დღიანი ვადა მის შესავსებად. განმცხადებელს დაევალა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოსაყენებელი სახის დაზუსტება, ასევე სამომავლოდ აღსამრავ სარჩელზე სასარჩელო მოთხოვნისა და მხარეების დაკონკრეტება.

2020 წლის 23 ოქტომბერს, --- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა --- -- და მოითხოვა №-- საკადასტრო კოდზე ყადაღის დადება და ადვოკატის დანიშვნა. --- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით --- -- შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა --- -- 2020 წლის 02 ნოემბერს.

2020 წლის 2 ნოემბერს მოსარჩელემ კვლავ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით №-- საკადასტრო კოდზე ყადაღის დადება, გადაზიდვის, გასხვისების, ბანკში ჩადების

აკრძალვას. შუამდგომლობა წარდგენილი იყო იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, რაზეც სასამართლომ იმსჯელა 2020 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით.

-- -- სასამართლოს საქმის განაწილების დამადასტურებელი დოკუმენტის თანახმად, 2020 წლის 4 ნოემბერს საქმე №-- განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 04 ნოემბრის განჩინებით -- -- 2020 წლის 2 ნოემბრის განცხადება დარჩა განუხილველად.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 16 ნოემბრის განჩინებით -- -- საჩივარი სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 ოქტომბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, მიღებულ იქნა წარმოებაში. -- -- სასამართლოს საქმის განაწილების დამადასტურებელი დოკუმენტის თანახმად, 2020 წლის 24 ნოემბერს საქმე №-- განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 04 დეკემბრის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 ოქტომბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ -- -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 04 დეკემბრის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 04 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ -- -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

-- -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2021 წლის 26 თებერვლის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 ოქტომბრის განჩინება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ და იმავე სასამართლოს 2020 წლის 04 დეკემბრის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და მისი ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე.

-- -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2021 წლის 26 თებერვლის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 04 ნოემბრის განჩინება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ და იმავე სასამართლოს 2020 წლის 04 დეკემბრის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და მისი ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების კრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებები შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად მიღებული განჩინების შემოწმებას, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

--- 2021 წლის 08 აპრილის №41 საჩივრის შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -
--- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი